წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N28

ქ.წალენჯიხა 29 დეკემბერი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორი ძაძამია, ზურაბი სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ა(ა)იპ –ების , საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13:20 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე (მომხრე 26 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N68).

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: **თემურ ღვინჯილია**–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ;
   მერის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: **კორნელ კვარაცხელია**–მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მერის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: **კორნელ კვარაცხელია**–მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: **თემურ ღვინჯილია**–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

მერის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი:**მერაბ შონია** მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საქმეთა სამსახურის უფროსი

6. მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018-2022წწ.)განხილვის შესახებ;

მომხსენებელი: **თემურ ღვინჯილია**-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ;

მომხსენებელი: **ბაკურ სონგულია**-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მერის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: **თეიმურაზ მებონია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: **თემურ ღვინჯილია**–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

10.სხვადასხვა.

ა) [illegible]რებულოში არსებული ფრაქციების თავმჯდომარეების მოადგილეების არჩევის შესახებ .

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ.

საკითხი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 2018–2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნაში მოცემული შენიშვნები აღნიშნული დოკუმენტების მიმართ ძირითადში გათვალისწინებულიქნა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ აზრთა სხვადასხვაობა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 -ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) დამტკიცებულიქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“. (დადგენილება N 54).

მოისმინეს 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 -ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 55).

მოისმინეს . 4 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე) დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 -ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N56) .

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საქმეთა საკითხთან სამსახურის უფროსმა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 57).

მოისმინეს: 6. მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018-2022წწ.)განხილვის შესახებ.

საკითხი მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის (2018-2022წწ.) განხილვის შესახებ წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე) დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N69).

მოისმინეს: 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაკურ სონგულიამ.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ გაბელიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია საკრებულოს თავმჯდომარისთვის 1 ტონა საწვავის გამოყოფა თვეში.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 -ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N70).

მოისმინეს: 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი 3- ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია,დათა აკობია.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N71).

მოისმინეს: 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე) დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N72).

მოისმინეს: 10. სხვადასხვა

საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საკრებულოში არსებული ფრაქციების თავმჯდომარეების მოადგილეების არჩევის შესახებ . კერძოდ:

ა) ასმათ კვარაცხელია - ფრაქცია"ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე (განკარგულება N 73);
ბ) დათა კუკავა - ფრაქცია"ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე (განკარგულება N 74);
გ)კახაბერ ჯოლოხავა - ფრაქცია"ქართული ოცნება -კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე (განკარგულება N 75);
დ) იაგო მიქავა -ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე (განკარგულება N 76);
ე) ელგუჯა მესხია - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" . თავმჯდომარის მოადგილე (განკარგულება N 77).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია